სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მორიგ სხდომაზე განიხილა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის, აგრეთვე საგარეო პოლიტიკის მთელი რიგი საკითხები.

სხდომაზე მოისმინეს პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ტიხონოვის ინფორმაცია იმ მუშაობის შესახებ, რომელიც გაწეულია ქვეყნის შემდგომი ეკონომიკური და სოციალური განვითარების საკითხებზე სამინისტროებისა და უწყებების, სხვა ცენტრალური ორგანიზაციების მისამართით სკკპ XXVI ყრილობის დელეგატთა მიერ გამოთქმული წინადადებებისა და შენიშვნების რეალიზაციასთან დაკავშირებით.

როგორც სხდომაზე აღინიშნა, ყრილობის დელეგატთა წინადადებების მნიშვნელოვანი ნაწილი აისახა ხუთწლიანი და წლიური გეგმებით გათვალისწინებულ დავალებებში, აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებში.

სსრ კავშირის მთავრობა, სამინისტროები და უწყებები განაგრძობენ პარტიის ყრილობის მიერ დასახული მთელი რიგი სხვა დიდი სამეურნეო პრობლემების გადაჭრისათვის საჭირო ღონისძიებათა შემუშავებას. ასეთ პრობლემათა შორისაა ეკონომიკის მართვის სრულყოფა, სახალხო მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების როლის ამაღლება მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასთან დაკავშირებულ საკითხთა გადაწყვეტაში და სხვა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ განიხილა საკითხი, რომ მოსკოვში პოკლონნაიას გორაზე დაიდგას 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების ძეგლი. მოწონებულია საპროექტო წინადადება, რომ აიგოს გამარჯვების ძეგლი და დიდი სამამულო ომის მუზეუმი დიდების დარბაზითურთ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა დ. თ. უსტინოვმა სხდომას მოახსენა საბჭოთა კავშირში ავღანეთის სამხედრო დელეგაციის ოფიციალური ვიზიტისა და ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრთან გენერალ-ლეიტენანტ ა. კადირთან გამართული საუბრების შედეგები.

სხდომაზე განიხილეს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შემდგომ სრულყოფასა და გაღრმავებასთან დაკავშირებული საკითხები.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 33 (7344)

16 1983 წ. თებერვალი, ოთხშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

დღეს მოსკოვში მუშაობას იწყებს დოსააფის IX საკავშირო ყრილობა

ყრილობის განაწესს შევასრულებთ

თუ რა მაჩვენებლებით შეეგებნენ საქართველოს სსრ დოსააფელები ამ დიდ ფორუმს, ამის შესახებ ჩვენი გაზეთის კორესპონდენტს ესაუბრა საქართველოს დოსააფის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე თენგიზ ჩხაიძე:

— საქართველოს დოსააფელებმა VIII საკავშირო ყრილობიდან დღემდე გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს. რომ არაფერი ვთქვათ წინა წლებზე, მარტო მიმდინარე ხუთწლედის პირველ ორ წელიწადში მომზადდა 2 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, 53 სპორტის ოსტატი და ასობით თანრიგოსანი. გვყავს მსოფლიოს, ევროპისა და საკავშირო პირველობების გამარჯვებულები და პრიზიორები. ბოლო წლებში საგრძნობლად გაუმჯობესდა საწვრთნელ-სავარჯიშო ბაზების მდგომარეობა. რუსთავის გზატკეცილზე აშენდა რესპუბლიკური სპორტკომპლექსი — 55 ჰექტარზე მოეწყო საგზატკეცილო-წრიული ტრასა საავტომობილო და სამოტოციკლო რბოლისთვის ტრიბუნებით, კარტოდრომი კარტინგებით შეჯიბრებისთვის, მოტოდრომი, მოტოკროსისთვის სტაციონალური ტრასა, ავტოდრომი, სამოდელო სპორტის განვითარებისთვის კი ავტო და ავიასამოდელო კორდოდრომები. გვაქვს ჩვენი აეროდრომი, სადაც შარშან საბჭოთა კავშირის პირველობა ჩატარდა საპარაშუტო სპორტში. მწყობრში ჩადგა დოსააფის სასწავლო ბაზები გეგეჭკორის, მარნეულის, გურჯაანის, წყალტუბოსა და ბოლნისის რაიონებში. სამწუხაროდ, სამხედრო-გამოყენებითი და ტექნიკური სპორტის ზოგიერთ სახეობაში გვაქვს ჩამორჩენაც. მაგალითად, შარშან საკავშირო პირველობაზე საწყლო-სამოტორო სპორტში მე-11 ადგილი დავიკავეთ, სამხედრო-გამოყენებით მრავალჭიდში — მე-13, ავიასამოდელო სპორტსა და წყალქვეშა ჩქაროსნულ ცურვაში — მე-14.

III საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებზე სპორტის სამხედრო-გამოყენებით და ტექნიკურ სახეობებში, რომელიც საბჭოთა კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადის პროგრამაში შედის, რესპუბლიკის ნაკრები მხოლოდ VIII ადგილით დაკმაყოფილდა.

— მალე ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ბაზებზე სტარტს აიღებს საბჭოთა კავშირის VIII საზაფხულო სპარტაკიადა, რომლის პროგრამაშია სამხედრო-გამოყენებითი და ტექნიკური სპორტის 27 სახეობა. რა წვლილს შეიტანენ საქართველოს დოსააფელები რესპუბლიკის ქულათა ყულაბაში?

— წინა სპარტაკიადაზე ჩვენი საზოგადოების სპორტსმენებმა საერთო გუნდური X ადგილი დაიკავეს და რესპუბლიკის ნაკრებს ქულათა ძალზე მცირე რაოდენობა შესძინეს. წლეულს წინა სპარტაკიადებისგან განსხვავებით, სამხედრო-გამოყენებით და ტექნიკურ სპორტის სახეობებში შედეგების შესაჯამებლად რესპუბლიკები დაყოფილი არიან სამ ჯგუფად. საქართველო მეორე ჯგუფშია. აქ ჩვენი მთავარი მეტოქეები იქნებიან ყაზახეთისა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკები. გადაწყვეტილი გვაქვს სპარტაკიადაზე პირველ ხუთეულში მოვხვდეთ. ამის საფუძველს გვაძლევს ჩვენი საუკეთესო სპორტსმენების — საავტომობილო სპორტში საბჭოთა კავშირის ჩემპიონისა და არაერთგზის პრიზიორის გურამ დგებუაძის, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის, ავტოსამოდელო სპორტში ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების ვერცხლის პრიზიორის სურენ ჩილინჯიანის, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის საავტომობილო (კარტინგი) სპორტში. საბჭოთა კავშირის ხუთგზის ჩემპიონის რობერტ აკოფოვის, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონის ტყვიის სროლაში გენადი კოსმინინის, ევროპის ჩემპიონის გემსამოდელო სპორტში ვლადიმერ გავასა და სხვათა საუკეთესო სპორტულ ფორმაში ყოფნა.

— რა ღონისძიებებს მიმართავს საქართველოს დოსააფის ორგანიზაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 11 სექტემბრის ცნობილი დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად?

— დაისახა მრავალი ღონისძიება. ამჟამად რესპუბლიკაში მუშაობს დოსააფისა და საქართველოს პროფსაბჭოს სამი ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ-ტექნიკური სკოლა, რომლებშიც ხუთასი მოზარდი ეუფლება ავტომოტოსპორტს, რადიოსპორტსა და სპორტის საწყლოსნო სახეობებს. შიდასაკოლექტივო, სარაიონო და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში მონაწილეობდა ათიათასობით ფიზკულტურელი და სპორტსმენი, რომელთაგან მარტო შარშან 14-მა სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა, ხოლო 150 ათასამდე ფიზკულტურელმა —, სათანრიგო ნორმატივები.

მიუხედავად ამისა, დოსააფის რესპუბლიკურ ორგანიზაციაში ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობა შესამჩნევად ჩამორჩება. ამაზე მკაცრად იყო მსჯელობა საქართველოს დოსააფელთა ყრილობაზე. დაისახა რიგი კონკრეტული ღონისძიებებისა, რომელთა განხორციელება საშუალებას მოგვცემს აღმოვფხვრათ ნაკლოვანებები, დავიბრუნოთ დაკარგული პოზიციები და ვიყოთ საბჭოთა სპორტის ავანგარდში.

ვ. ნოსირელი.

საწვრთნელი მატჩი

თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 15 თებერვალი.

„დინამო" (თბილისი) — სსრ კავშირი (ნაკრები) — 0:2 (0:2).

„**დინამო**": მჭედლიძე, ჟიბა (ანდღულაძე), ჩივაძე, პაიკიძე, უგ-ლება, კერესელიძე (გურული), კოპალეიშვილი (მახარაძე), სულაქველიძე, მეხი (ჩქარეული), ცავა, შენგელია.

სსრ კავშირი: დასაევი (ჩანოვი), ბესონოვი, ბალტაჩა, ბალი, დემიანენკო, ლოზინსკი, ბურიაკი, ანდრეევი (ევტუშენკო), როდიონოვი (ოჰანესიანი), სუსლოპაროვი, ბლოხინი.

მსაჯი მ. მკრტჩიანი (ერევანი).

გუშინდელი საკონტროლო მატჩი სსრ კავშირის ნაკრებსა და თბილისის „დინამოს" შორის წინასასეზონო მზადების დასკვნითი ეტაპის მნიშვნელოვანი მოვლენაა. მართალია, სეზონის მთავარ შეჯიბრებებამდე საკმაო დროა, ვინაიდან საკავშირო ჩემპიონატი 26 მარტს იწყება, ხოლო ჩვენი ქვეყნის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი პორტუგალიელებთან 27 აპრილს აქვს, მაგრამ მანამდე სსრ კავშირის თასის მეთექვსმეტედფინალური მატჩებია, ეს კი ფეხბურთელთა სრულ მზადყოფნას მოითხოვს.

სსრ კავშირის ნაკრებისა და თბილისის „დინამოს" შეხვედრები ასეთ პერიოდში ადრეც გვინახავს, როგორც წესი, ამ დროს გუნდების თამაშში მრავალი ხარვეზია, ისინი არ არიან მზად სრული დატვირთვით საბრძოლველად. გამონაკლისი არც გუშინდელი შეხვედრა იყო: სსრ კავშირისა და თბილისის „დინამოს" გამოცდილი ოსტატებიც კი ზომაზე მეტად ცდებოდნენ, ხშირი იყო ტექნიკური წუნი, ბურთი არ ემორჩილებოდა მოთამაშეებს, არ იყო მოწესრიგებული ტაქტიკური ურთიერთმოქმედება, ხოლო რაც შეეხება კარში დარტყმებს, აქ კი სრული უზუსტობა ვიხილეთ: ცნობილი ბომბარდირებიც კი დიდი მანძილით აცდენდნენ ბურთს კარს.

მაინც, ცალკეულ მომენტებში თამაში საინტერესო და დაძაბული იყო, მაყურებელი ყურადღებით ადევნებდა თვალს თბილისის „დინამოს" ახალბედა მოთამაშეებს, რომლებიც ახლა იდგამენ ფეხს ჩვენს კოლექტივში.

ანგარიში მე-15 წუთზე გახსნა როდიონოვმა, რომელმაც ყველას დაასწრო მარჯვენა ფლანგიდან მოწოდებულ ბურთზე და ზუსტად დაარტყა კარში. 36-ე წუთზე ჟიბამ ხელით ითამაშა თავის საჯარიმო მოედანზე, 11-მეტრიანი უშეცდომოდ დაარტყა ბურიაკმა — 2:0.



რესპუბლიკური რეკორდებით

ა. ალიევისა და ო. სტრიჟაკოვის წარმატება

მოსკოვში, კრილატსკოეს ველოტრეკზე, სადაც ქვეყნის უძლიერესმა მძლეოსნებმა სსრ კავშირის თასი გაითამაშეს, წარმატებას მიაღწია თბილისელმა ა. ალიევმა (ასკ, მწვრთნელი ა. ანდრეევი). 400 მ-ზე რბენაში მან აჩვენა 47,71 წამი და საქართველოს ახალი რეკორდით მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვა.

თბილისელმა ო. **სტრიჟაკოვმა** („დინამო", მწვრთნელი ვ. ქადეიშვილი), რომელიც 3000 მ-ზეასპარეზობდა, ეს მანძილი 8 წუთსა და 09 წამში დაფარა, რაც ასევე აღემატება რესპუბლიკურ რეკორდს. ახალგაზრდა სტაიერმა ამ შედეგით მე-5 ადგილი მოიპოვა.

შეხვედრა დიდი სტარტების წინ

საქართველოს მოჭიდავეთა (კლასიკური, თავისუფალი, ძიუდო, სამბო) ნაკრები გუნდების სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადისათვის მზადებას მიეძღვნა პრესკონფერენცია, რომელიც საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციისა (თავმჯდომარე ა. გოგელია) და საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის ჭიდაობის სამმართველოს თაოსნობით მოეწყო.

ჟურნალისტთა და სპორტულ მუშაკთა ამ საკმაოდ წარმომადგენლობით შეხვედრას ესწრებოდნენ რესპუბლიკის პარტიული, საქალაქო, ახალგაზრდული და სპორტული ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენლები, რესპუბლიკის სპორტკომიტეტის ხელმძღვანელი მუშაკები. სპორტკომიტეტის სამმართველოთა უფროსები, ჭიდაობის სახეობათა და ნაკრები გუნდების მთავარი მწვრთნელები, სპორტული საზოგადოებების რესპუბლიკური საბჭოების თავმჯდომარეები, უმაღლესი სასწავლებლების ფიზიკური აღზრდის კათედრის გამგეები, ნაკრები გუნდების ექიმები, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის სპორტისა და მასობრივი თავდაცვითი მუშაობის განყოფილების გამგე თ. ჩიქოვანი, ნაკრები გუნდების კომორგები.

პრესკონფერენცია გახსნა რესპუბლიკის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ შ. ქველიაშვილმა. ჭიდაობის სამმართველოს უფროსმა გ. ცქიტიშვილმა ჟურნალისტებს წარუდგინა ნაკრები გუნდების უფროსი მწვრთნელები ვ. მესტვირიშვილი (თავისუფალი ჭიდაობა), დ. ხაბულიანი (ძიუდო), ო. გულისაშვილი (სამბო) და დ. დავითაია (კლასიკური ჭიდაობა), რომლებმაც ილაპარაკეს გუნდების მზადების შესახებ, გამოითქვა პროგნოზები, კერძოდ თუ რომელი ადგილისათვის იბრძოლებენ მოსკოვის დიდ ფორუმზე ქართველი მოჭიდავეები.

პრესკონფერენციაზე ინფორმაციით გამოვიდა საქართველოს განათლების სამინისტროს სპორტისა და ფიზიკური აღზრდის სამმართველოს უფროსი დ. კვინიკაძე, რომელმაც ჟურნალისტებს გააცნო მოსწავლეთა ჭიდაობაში მასობრივად ჩაბმის სამომავლო გეგმები და პერსპექტივები. მან თქვა, რომ ამ დღეებში მწყობრში ჩადგება რესპუბლიკური სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატი, სადაც ნორჩებს სპორტის ამ სახეობაში დაოსტატებისთვის ყველა პირობა ექნებათ.

სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა ვ. ბალავაძემ ყურადღება გაამახვილა რესპუბლიკური პირველობების ჩატარების ორგანიზაციაზე, აღნიშნა, რომ ამგვარი შეჯიბრებები ჩვენში ჯერ კიდევ უამრავი ხარვეზებით ტარდება, რაც შესამჩნევად უშლის ხელს ჭიდაობის პოპულარიზაციას ახალგაზრდობაში.

ნაკრები გუნდების მწვრთნელებმა და სპორტულმა მუშაკებმა ამომწურავი პასუხი გასცეს ჟურნალისტთა მრავალ შეკითხვას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტსკოლის ცხოვრება

დირექტორს ბევრი საზრუნავი აქვს

თბილისის კალინინის რაიონის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლა. რამდენ გოგონასა და ბიჭუნას მოუხარია აქეთკენ გაკვეთილების დამთავრების შემდეგ. მხიარული ხმები აცოცხლებს სკოლის სპორტულ დარბაზებს. მწვრთნელების სასტვენის ხმა და სპორტულ ფორმებში გამოწყობილი გოგონები, ვაჟები სიმაღლის მიხედვით მწკრივდებიან. სახელდახელო მითითებანი და იწყება მორიგი ვარჯიში...

ასეა ყოველდღე: სპორტულ დარბაზებში ერთმანეთს ენაცვლებიან ფრენბურთელები და კალათბურთელები, ჩოგბურთელები და ტანმოვარჯიშეები. ზამთრობით აქ მძლეოსნებიც ვარჯიშობენ.

ჩვენი სტუმრობის დღეს აქ სპორტსკოლის ნორჩი აღსაზრდელები შეკრებილიყვნენ. პირველ სართულზე ფრენბურთელი გოგონები ხვეწდნენ თავიანთ ოსტატობას, მესამე სართულზე კი სპორტსკოლის დირექტორის, ჩოგბურთში რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის, სპორტის ოსტატ გურამ თოხაძის ხელმძღვანელობით ჩოგბურთელები ვარჯიშობდნენ.

გ. თოხაძე შვიდი წელია კალინინის რაიონის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლას უდგას სათავეში. ფიზკულტურის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იგი ჯერ ბათუმში მუშაობდა, შემდეგ გარდაბანში. სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის" ჩემპიონსა და მრავალგზის პრიზიორს ჩოგბურთში მუდამ თან სდევდა დიდი სიყვარული სპორტის ამ საინტერესო სახეობისადმი. ერთხანს აჭარის ჩოგბურთელთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი იყო. შემდეგ, გარდაბანში მუშაობისას, ჩამოაყალიბა ჩოგბურთის სექცია. ვარკეთილის სპორტულ ბაზაზე მის მოწაფეთაგან ბევრი გახდა რესპუბლიკის ჩემპიონი და პრიზიორი მოსწავლეთა შორის.

ჩოგბურთისადმი ერთგულება გ. თოხაძეს არც თბილისში ჩამოსვლის შემდეგ განელებია. მეშვიდე წელია ნორჩ ჩოგბურთელებს ავარჯიშებს დიდი მონდომებითა და სიყვარულით. შეგირდებიც უფასებენ შრომას. დათო კაჭარავა შარშანწინ და შარშან საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა წყვილებში მოზარდთა შორის. დათომ განსაკუთრებით წლეულს ისახელა თავი — სევეროდონეცკში თანატოლთა შორის აბსოლუტური ჩემპიონობა მოიპოვა: მოიგო პირველობა ერთეულთა თანრიგში, წყვილებში — მოსკოველ ვლადიმერ პოლიონოვთან, ხოლო შერეულთა თანრიგში ეკა თოხაძესთან ერთად კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

აქვე უნდა დავძინოთ ისიც, რომ მამის კვალს გაჰყვა მისი უმცროსი ქალიშვილი ეკა. იგი ადრე, მამას დაჰყვებოდა ვარჯიშზე, თვალყურს ადევნებდა კორტებზე მოპაექრეთ. მალე მამის თანხმობით თვითონაც დაიწყო ვარჯიში.

— ეკა პატარაობიდან სუსტი ბავშვი იყო — გვეუბნება გურამ თოხაძე — სად არ დაგვყავდა, ვუცვლიდით ჰაერს, მაგრამ უშედეგოდ. ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა მისი არჩევანი, მაგრამ არ მეგონა თუ რამე გამოგვივიდოდა. უბრალოდ, ნებას ვაძლევდი გასაკაჟებლად ევარჯიშა. მან კი ამ სამი წლის მანძილზე იმდენი გააკეთა, რომ დათო კაჭარავასთან ერთად ჩემპიონად დაგვიბრუნდა.

გურამ თოხაძემ თავის მოწაფეებთან კიდევ ერთი ჩოგბურთელი, „მომავალი ჩემპიონი" თენგიზ შალიკაშვილი გაგვაცნო და თან დასძინა:

— ამ დღეებში ლვოვში ჩატარდა 1969–1970 წლებში დაბადებულ ჩოგბურთელთა საკავშირო ტურნირი, სადაც კვლავ წარმატებით იასპარეზა დათო კაჭარავამ. მან ერთეულთა თანრიგში ნახევარფინალური ორთაბრძოლისას დაამარცხა ძლიერი ჩოგბურთელი მოსკოველი იგორ პუჩკოვი — 2:1, ხოლო ფინალში იოლად სძლია ლვოველ პესკოზუბს (ორივეჯერ 6:1). დათომ პირველი ადგილი დაიკავა წყვილებშიც სწორედ თენგიზ შალიკაშვილთან ერთად.

ახარებს გურამ მასწავლებელს თავისი შეგირდების წარმატება, მაგრამ სკოლის დირექტორის საზრუნავს მარტო ჩოგბურთი როდი წარმოადგენს: იგი მრავალი ღონისძიების ინიციატორია, აქტივის დახმარებით ატარებს რაიონულ სპარტაკიადებს, გამოჰყავს გუნდები საქალაქო პირველობებსა და სპარტაკიადებზე, ღირსეულ კანდიდატებს უმზადებს თბილისისა და საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებ გუნდებს.

კალინინელებს ამ ბოლო ხანს განსაკუთრებით გაუთქვეს სახელი კალათბურთელებმა. „ლელოს" მკითხველებმა კარგად იციან იმ წარმატებების შესახებ, რასაც „მართვეს" ნორჩმა კალათბურთელებმა მიაღწიეს. ეს გუნდი რამდენიმე წლის წინათ 53-ე სკოლის ბაზაზე ჩამოყალიბდა სპორტსკოლის დირექციის დახმარებით და რაიონის განათლების განყოფილების (გამგე ე. ძნელაძე) აქტიური მხარდაჭერით. ბიჭების მიბაძვით საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების წევრმა მაია ფუტკარაძემ პერსპექტიული გოგონებისაგან კალათბურთელთა გუნდი ჩამოაყალიბა ამ ცოტა ხნის წინათ.

კარგი შედეგები აქვთ სკოლის ფრენბურთელ გოგონებსაც. ისინი საქალაქო სპარტაკიადებისა და პირველობების პრიზიორები არიან. გამომშვიდობებისას გ. თოხაძემ გვითხრა:

— დიდ ყურადღებას ვაქცევთ სპორტსკოლაში კულტივირებულ სპორტის სახეობებში მომეცადინეთა ყოველდღიურ წვრთნას, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ დანარჩენი სახეობებისადმი გულგრილნი დავრჩით. ნაკრები გუნდების დასაკომპლექტებლად ვაწყობთ სხვადასხვა შეჯიბრებებს სკოლებს შორის. ყველაზე მთავარი მაინც რაიონული სპარტაკიადებია. მოსწავლეთა წლევანდელ სპარტაკიადაზე რაიონის სკოლები ერთმანეთს გუნდურ პირველობას 17 სახეობაში შეეცილებიან, რომელთაგან ექვსი — ტანვარჯიში, მძლეოსნობა, „იმედის სტარტები", მშთ-ს მრავალჭიდი, ცურვა, პიონერული ოთხჭიდი — სავალდებულოა ყველასთვის, ხოლო ექვსი სახეობა კი ამორჩევითია. ყოველივე ეს საშუალებას გვაძლევს საშუალო სკოლებში ბავშვთა მეცადინეობები სპორტულ სექციებში უფრო მრავალფეროვანი და მიმზიდველი გახდეს. მართალია, ყველაფერში ერთნაირად კარგად როდი ვუძღვებით საქმეს, მაგრამ ერთიანი ძალით ვიბრძვით ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, ვცდილობთ დავნერგოთ მუშაობის, წვრთნისა და მოსწავლეთა აღზრდის ახალი ფორმები და მეთოდები. ყოველივე ეს, ვფიქრობთ, სასურველ შედეგს გამოიღებს.

ვ. დანელია

სურათზე: გ. თოხაძე თავის აღსაზრდელებთან.

ავტორის ფოტო.

ჟურნალ „ტეორია ი პრაქტიკა ფიზიჩესკოი კულტურის" მე-5 ნომერში დაიბეჭდა პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორის პროფ. ვ. ელაშვილის სტატია, რომელსაც მცირეოდენი შემოკლებით დღეს ვთავაზობთ „ლელოს" მკითხველებს.

ფიზიკური აღზრდის ხალხური ელემენტების გამოყენება თანამედროვე პრაქტიკაში

საქართველოს მთიანი მხარის მკვიდრთა ფიზიკური აღზრდის ხალხური სისტემის ფაქტობრივი მასალის შესწავლამ გვიჩვენა, რომ თანამედროვე ფიზიკური ვარჯიშები და მოძრავი თამაშები, მათ შორის სპორტული, შესაბამისი რეგლამენტაციისას თანამედროვე ვარჯიშებისა და თამაშობების იდენტური იყო მოძრაობითი ჩვევებისა და ფიზიკური თვისებების ფორმირების საქმეში. თანაც გავრცელების ადგილებში ის უპირატესობა ჰქონდა, რომ იყო გასაგები, მისაწვდომი, ტრადიციული და შედარებით ადვილი, არ საჭიროებდა ძვირადღირებულ აღჭურვილობას, სპეციალურ ნაგებობას ვარჯიშობისთვის.

ფიზიკური აღზრდის ხალხური ტრადიციების შემოქმედებითად გამოყენება ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას — სწავლების, ფიზიკური განვითარებისა და აღზრდის ერთიანობას, აღმოფხვრის იმ გათიშვას, რაც მათ შორის შეიმჩნევა. ამჟამად ბევრ მთიან რაიონში ფიზიკური კულტურის პროგრამა არ სრულდება შესაბამისი მატერიალური ბაზის უქონლობის გამო, ხოლო ფიზიკური აღზრდისა და მშთ კომპლექსის პროგრამა ყოველთვის სრულად არ ემთხვევა მოსახლეობის წარმოდგენას ადგილობრივ პირობებში მათი გამოყენებისა და ახალგაზრდობის ფიზიკური მომზადების ტრადიციების შესახებ.

ფიზკულტურის გაკვეთილებზე მოსწავლეები პასიურობენ, ზოგიერთები კი, განსაკუთრებით გოგონები, უარს აცხადებენ ვარჯიშების შესრულებაზე. ყველაფერი ეს ფიზკულტურის გაკვეთილებისადმი ქმნის ირონიულ, უარყოფით დამოკიდებულებას.

გარდა ამისა, ამ ვარჯიშების ასათვისებლად გამოყოფილი მცირე დრო და უმრავლეს შემთხვევაში შესაბამისი ბაზებისა და ინვენტარის უქონლობა პროგრამის ათვისების იმედს არ იძლევა. იმ შემთხვევებში, როცა მოსწავლეთა სურვილი, შეხედულება, ცოდნა და გამოცდილება ემთხვევა სკოლის მოთხოვნებს (მოძრავი თამაშები, რბენა, ხტომები, ტყორცნები), მაშინ, ეს მოთხოვნები გასაგები ხდება და მათი დაუფლება წარმატებით მიმდინარეობს. მაგრამ ხშირ შემთხვევაში სკოლაში ათვისებული ზოგიერთი ვარჯიშის შინ ჩვენება მშობლებისა და უფროსების გაკვირვებას იწვევს: „რა საჭიროა ყველაფერი ეს?" კითხვაზე, თუ რატომ სწავლობენ ბავშვები ისეთ ვარჯიშებს, რომლებსაც არ შეუძლიათ მოამზადონ ისინი ცხოვრებისა და შრომისათვის, მშობლები დამაკმაყოფილებელ პასუხს ვერ იღებდნენ.

საქმე ისაა, რომ სკოლაში შესვლამდე ბავშვებს, უფროსებთან და თანატოლებთან კონტაქტის საფუძველზე, გარკვეული წარმოდგენა ექმნებათ ხალხურ ვარჯიშებზე და თამაშებზე, ფიზიკური აღზრდის იმ საშუალებებზე, რომელთაც გამოყენებითი მნიშვნელობა ენიჭებათ ცხოვრებისთვის მომზადების თვალსაზრისით. მათ აუცილებლობას ბავშვები ადრეული ასაკიდანვე შეიმეცნებენ.

ანალიტიკური ხასიათის ვარჯიშების ან კლასიკური სპორტული თამაშების სწავლება მიზნობრივი ანალიზის გარეშე დიდ წინააღმდეგობას აწყდება.

საზოგადოებრივი წყობის ცვლილების მიუხედავად სოფლის დასახლებებში შენარჩუნებულია ყველა ძირითადი ფაქტორი (ბუნებრივი გარემო, შრომითი ციკლის სეზონურობა, ეროვნული ელფერი, ზნე-ჩვეულებები, ყოფაცხოვრება, კულტურა და სხვა), რომლებიც, ჩვენი შეხედულებით, მოითხოვს ფიზიკური მომზადების არა განყენებულ, არამედ გამოყენებით საშუალებებს, ბუნებრივი პირობების სპეციფიკის გათვალისწინებით.

ორწლიანმა პედაგოგიურმა ექსპერიმენტმა, რომელმაც სწავლების პროგრამაში უპირატესად ხალხური მოძრავი თამაშები და ფიზიკური ვარჯიშები შეიტანა, პირველ ყოვლისა უზრუნველყო მოსწავლეთა გააქტიურება. ისინი უფრო სწრაფად ითვისებდნენ მოძრაობით ჩვევებს, ამაღლდა მოსწავლეთა დისციპლინა და მშობელთა დაინტერესება ბავშვების ფიზკულტურასა და სპორტში ჩასაბმელად. მთის პირობებში ფიზკულტურის გაკვეთილებისადმი ასეთი მიდგომა გამართლებული და რეკომენდებულია.

სარგებლობის, გამოყენებითობის პრინციპი უნდა დაედოს საფუძვლად ფიზიკურად ყოველმხრივ განვითარებულ, მორალურად მტკიცე, სოციალისტური სამშობლოსთვის თავდადებული ახალი, კომუნისტური საზოგადოების ახალგაზრდა მშენებლის მომზადების საქმეს.

როგორც ცნობილია, საზოგადოებრივი განვითარების ადრეული ფორმაცია, ისტორია მიგვითითებს აღზრდის კოლექტიურ ხასიათზე, რომელსაც შრომისა და ბუნებრივი პირობების თავისებურებების მიხედვით ახორციელებდნენ უფროსი თაობის წარმომადგენლები, ქმნიდნენ რა ახალგაზრდობის მომზადების ხელმძღვანელობის გარკვეულ ინსტიტუტს. ეს ინსტიტუტი წარმოიშვა ხალხური პედაგოგიკის იმ საფეხურზე, როცა ამოცანები, საშუალებები და მოსალოდნელი შედეგები, აგრეთვე შესაბამისი ნორმატივები, ერთიან სისტემად ჩამოყალიბდნენ. ამ სისტემამ მოქმედება ოჯახის პირობებში დაიწყო. მაგალითად, 4-5 წლის ასაკამდე ბიჭები იმყოფებოდნენ დედასთან, რომელიც ყოველ თავის მოქმედებასა და სიტყვას იყენებდა როგორც საგანმანათლებლო, ისე აღზრდის მიზნით. შემდეგ ისინი გადადიოდნენ უფროსი მამაკაცის (როგორც წესი, მამის) მეთვალყურეობის ქვეშ, რომელიც ბავშვს ასწავლიდა ჯერ ყველა აუცილებელ ელემენტარულ შრომითს, შემდეგ კი უფრო რთულ და საბრძოლო მოქმედებასაც.

საოჯახო პირობებში აღზრდის მეთოდი სხვადასხვა ფორმით მოწმდებოდა. იგი პედაგოგიური პროცესის ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენდა. ჩვენი აზრით, დამოუკიდებლობის, საქმისადმი კრიტიკული მიდგომისა და ობიექტურობის გამომუშავების სწორი ფორმა იყო ანგარიშგება უფროსების წინაშე. შრომითი დღის შემდეგ თავს იყრიდა მთელი ოჯახი, ბავშვები დაუფარავად უყვებოდნენ უფროსებს თუ სად, როგორ, რას და რატომ აკეთებდნენ. დიალოგის ფორმით მიმდინარე სერიოზული განხილვის ატმოსფერო, როცა აღმზრდელი არა მარტო კიცხავდა არასწორ მოქმედებებს, არამედ მოჰყავდა მაგალითები გამოცდილთა საქმიანობიდან, ბავშვებს საშუალებას აძლევდა თავად გაეკეთებინათ შედარებები და დასკვნები. მათთვის უფროსების მაგალითები უდავო იყო და აღიქმებოდა როგორც გულადობის, გმირობის, სიბრძნის, შრომისმოყვარეობის იდეალი. ასეთი მეთოდური მიდგომა მოზარდში ქმნიდა განსჯისა და შემდგომი სწორი საქმიანობისთვის მზადყოფნის წინაპირობას.

ამ პროცესში ბავშვები შეიმეცნებდნენ არა მარტო ამა თუ იმ მოქმედებათა წესებს, არამედ წარმოდგენა ექნებოდათ შედეგებზეც, ვინაიდან მათ ადრევე უნერგავდნენ იმ პასუხისმგებლობის გრძნობას, რომელიც სრულწლოვანების პერიოდში დაეკისრებოდათ. მაგალითად, ხევსურ ბიჭს 5 წლის ასაკიდან არწმუნებდნენ, რომ იგი მამაკაცია, მომავალი „კაი ყმა" სწორედ ამიტომ ყურს უგდებდნენ მის მსჯელობას და ანგარიშს უწევდნენ მის აზრს. ეს იყო კარგი საშუალება დარწმუნებულიყო ბავშვი თავის შესაძლებლობებში და შეჩვეოდა იმ როლს, რომელიც მას უნდა შეესრულებინა მომავალში.

უფროსების მიერ ჩამოყალიბებულ პასუხისმგებლობის მწვავე გრძნობას საქმე იქამდე მიჰყავდა, რომ მიუხედავად ნორჩი ასაკისა, ბავშვები ცდილობდნენ რაც შეიძლება ადრე ეჩვენებინათ „ასაკოვნება" და რაც შეიძლება უკეთ შეესრულებინათ საზოგადოების სრულუფლებიანი წევრის შრომითი და საბრძოლო მოვალეობანი, ასეთი სულისკვეთებით აღზრდილი ბავშვები, მთელი სერიოზულობით ებმებოდნენ შრომით საქმიანობაში, ხანდახან მათთვის შეუფერებელშიც და ამას ჩვეულებრივ მოვლენად თვლიდნენ. ცხოვრებას მოზრდილთა თვალსაწიერიდან უცქერდნენ.

ცნობილია, რომ პედაგოგიური პროცესის ეფექტიანობისთვის აუცილებელია ეროვნული თავისებურებების ცოდნა და გათვალისწინება. ადგილობრივი პირობების გათვალისწინება, ხალხური ტრადიციული „პედაგოგიკის" ელემენტების შემოქმედებითი გამოყენება მასწავლებელს დამატებით შესაძლებლობას აძლევს ბავშვში აღზარდოს ისეთი მნიშვნელოვანი თვისებები, როგორიცაა ეროვნული სიამაყის გრძნობა შერწყმული საბჭოთა პატრიოტიზმთან და ინტერნაციონალიზმთან, საზოგადოებრივი მოვალეობის შეგნებასთან, იდეურ სიმტკიცესთან.

აღზრდის ხალხური საშუალებების განხილვისას არ შეიძლება არ აღვნიშნოთ მათი მოჩვენებითი სიმკაცრე, სიახლოვე ცხოვრების პირობებთან, კლიმატთან, საცხოვრებელ ადგილთან და წეს-ჩვეულებებთან. მაგრამ ასეთი სიმკაცრე, მოთხოვნათა შეუვალობა ადრეული ასაკიდან აყალიბებდნენ აუცილებელ ცოდნას, უნარსა და ჩვევებს, როგორც მოძრაობით, ისე ზნეობრივ სფეროში. რა თქმა უნდა, ყველაფერი მისაღები როდია, მაგრამ ხალხური გამოცდილების მთლიანად უარყოფა შეუწყნარებელია, ერთგვარი გამაფლანგველობაა და შეიძლება ისეთ კურიოზამდეც მიგვიყვანოს, როგორსაც ვერ ასცდა ხალხური მედიცინა და ხელოვნება.

აღზრდის თვალსაზრისით სკოლასა და ოჯახში წინააღმდეგობების დაძლევა, მშობლებისა და ოჯახის უფროსთა ავტორიტეტის გათვალისწინებით, ძნელ, მაგრამ აუცილებელ ამოცანად გვესახება. იგი წარმატებით გადაწყდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასკოლო პროგრამაში შევა ხალხური საშუალებები და მეთოდები, ე. ი. ყველა ის, რაც პროგრამულია, მაგრამ აღმზრდელობითი მუშაობის მიზანმიმართულებასა და ფორმას შეცვლის კომუნისტური მორალისა და ზნეობრივი მოთხოვნების შესაბამისად.

ფიზიკურ აღზრდაში ხალხური პედაგოგიკის მეთოდთა გამოყენება ახალი როდია, იგი რთულია და მეტად მნიშვნელოვანიც, ამიტომ საჭიროა სიფრთხილის დაცვა, რათა არ გაგვიტაცოს არც ჰიპერბოლიზაციამ და არც ფიზიკური აღზრდის ხალხური მეთოდებისა და საშუალებების დაკნინებამ.

მსგავსი სამუშაოები, რომლებიც სხვა რაიონებში ჩატარდა, საშუალებას მოგვცემს გავაკეთოთ უფრო დიდი განზოგადება, რომელიც ხელს შეუწყობს თანამედროვე ფიზიკური აღზრდის თეორიისა და პრაქტიკის გაუმჯობესებას, ფიზიკურ კულტურასა და სპორტში ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ჩაბმას სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს „ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრიობის შემდგომი აღმავლობის შესახებ" დადგენილების შესაბამისად.

ევროპის ჩემპიონატი

V ჯგუფი

განახლდა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები. გათამაშების ეს ციკლი, როგორც ცნობილია, უნდა დამთავრდეს წლეულს, გაისად კი ფინალისტები თავს მოიყრიან საფრანგეთში.

1983 წლის პირველი შესარჩევი მატჩი გაიმართა კვიპროსის ქალაქ ლიმასოლში კვიპროსისა და იტალიის ნაკრებ გუნდებს შორის.

მსოფლიო ჩემპიონები — იტალიელები ერთობ შორს არიან ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატის საბრძოლო ფორმიდან, მათ ევროპის ჩემპიონატის V ჯგუფში მანამდე 2 მატჩი ჩაატარეს, რამაც მხოლოდ 2 ქულა მოუტანა. მსოფლიო ჩემპიონებმა ახლაც ფრედ ითამაშეს ამ ჯგუფისა და, საერთოდ, ევროპული ფეხბურთის ერთერთ აუტსაიდერ-კვიპროსის ნაკრებთან. კვიპროსელებს 3 მატჩის შემდეგ სულ 1 ქულა აქვთ და ისიც მსოფლიო ჩემპიონებთანაა მოპოვებული.

ლიმასოლის სტადიონზე 25 ათასმა მაყურებელმა მოიყარა თავი. პირველი ტაიმის თანაბარ ბრძოლას შედეგი არ მოჰყოლია, შესვენების შემდეგ ანგარიში უკვე 47-ე წუთზე გახსნა კვიპროსელთა ნახევარმცველმა მავრისმა. ათიოდე წუთის შემდეგ იტალიელმა გრაციანიმ საპასუხო ბურთი გაიტანა და შეხვედრაც ფრედ დამთავრდა — 1:1.

იტალიის ნაკრებმა ლიმასოლში ძირითადი შემადგენლობით ითამაშა: ძოფი, ჯენტილე, კაბრინი, შირეა, კოლოვატი, ტარდელი, ანტონიონი, ორიალი (ანჯელოტი), კაუზიო, როსი, გრაციანი.

მორიგი მატჩი V ჯგუფში გაიმართება 27 მარტს: კვიპროსელები მიიღებენ ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს.

გათამაშების ცხრილი ამ ჯგუფში ახლა ასეთია:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
რუმინეთი	3	2	1	0	5—1	5
იტალია	3	0	3	0	3—3	3
შვეცია	3	1	1	1	3—4	3
ჩეხოსლოვაკია	2	0	2	0	4—4	2
კვიპროსი	3	0	1	2	2—5	1

● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი

„სიჭაბუკის თასზე"

დამთავრდა თბილისის „სიჭაბუკის თასის" გათამაშება, რომელშიც მონაწილეობდა 16 გუნდი. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ „ნორჩი დინამოელისა" და განათლების სამმართველოს სპორტსკოლის II გუნდი. ანგარიშით 3:0 გაიმარჯვეს განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის სპორტსკოლის წარმომადგენლებმა (სკოლის დირექტორი შ. მერკვილაძე, მწვრთნელები — თ. კუბლაშვილი, ო. კინწურაშვილი, ა. ილიადი). მესამე ადგილზე გავიდა განათლების სამმართველოს ფეხბურთის სპორტსკოლის I გუნდი.

ასპარეზობამ გამოავლინა ნორჩი პერსპექტიული ფეხბურთელები: ვ. მიქაშავიძე, ზ. ბაკურაძე, დ. ქადაგიძე, გ. გულისაბედაშვილი, ხ. კიკნაძე და მ. თეზუაშვილი (განათლების სამმართველოს სპორტსკოლა), დ. კალანდაძე, მ. დოლიძე, მ. საგანელიძე, რ. ქაჯაია და პ. ბერაია („ნორჩი დინამოელი"), ბ. ბერძენიშვილი, ი. ბუჯიაშვილი და ვ. ბერაძე („ავაზა"), თ. ყიფიანი და პ. ლომიძე (ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა).

სურათებზე: ფინალური მატჩის მომენტი; „სიჭაბუკის თასის" მფლობელი — თბილისის განათლების სამმართველოს ფეხბურთის სპორტსკოლის გუნდი.

გ. დოლენჯაშვილის ტექსტი და ფოტოები.

● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ჩემპიონატები, შედეგები, ლიდერები.

იტალია

XIX ტურში 8 შეხვედრიდან 7 ფრედ დასრულდა! ასე ითამაშეს „კალიარიმ" და „აველინომ" (1:1), „ჩეზანამ" და „კატანძარომ" (0:0), ვერონის „ჰელასმა" და „ფკ 93 ჯენოვამ" (2:2), „ფიორენტინამ" და მილანის „ინტერმა" (0:0), „ნაპოლიმ" და ტურინის „იუვენტუსმა" (0:0), „ასკოლიმ" და „რომამ" (1:1), „უდინეზემ" და „ტორინომ" (0:0), მხოლოდ გენუის „სამპდორიამ" შეძლო „პიზას" დამარცხება ერთადერთი გოლის წყალობით.

მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ ბოლო ადგილზე მყოფ „კატანძაროს" (10 ქულა) ვერაფერი იხსნის მეორე ლიგაში გადასვლისგან, ვინაიდან ლიგას 3 გუნდი ტოვებს, საფრთხე ემუქრება კიდევ, სულ მცირე, 7 კლუბს, მათ შორის უარესი მდგომარეობა „ნაპოლის" აქვს (15 ქულა), სადაც ახალმა მწვრთნელმა პესაოლამ ვერაფრით ვერ დაადგინა ოპტიმალური შემადგენლობა. მან სათადარიგო გუნდში გადაიყვანა ცნობილი არგენტინელი დიასი!

წამყვანი ჯგუფი ასე გამოიყურება:

	თ.	ბ.	ქ.
„რომა"	19	28—14	28
„მილანი"	19	26—17	25
„ინტერი"	19	25—13	24
„იუვენტუსი"	19	21—15	22
„ფიორენტინა"	19	22—16	21

თამაშის ხარისხზე თუ ვიმსჯელებთ, ძნელად რომ „რომამ" ჩემპიონობა ვერ მოიპოვოს. კვლავინდებურად უფერულად გამოდის „იუვენტუსი". როსი, რომელიც ტრავმის შემდეგ დაუბრუნდა მინდორს, აცხადებს, რომ პარტნიორები აშკარად „ვერ ამჩნევენ" მას.

ინგლისი

XXVI ტურის შედეგები ასეთია: „არსენალი" — „ბრაიტონ ალბიონი" 3:1, „ევერტონი" — „ნოთს ქაუნთი" 3:0, „ბირმინგემ სიტი" — „ვესტ ჰემ იუნაიტედი" 3:0, „იფსვიჩ თაუნი" — „მანჩესტერ იუნაიტედი" 1:1, „ლუტონ თაუნი" — „ლივერპული" 1:3, „მანჩესტერ სიტი" — „ტოტენჰემ ჰოტსპური" 2:2, „ნოტინგემ ფორესტი" — „ასტონ ვილა" 1:2, „საუთჰემპტონი" — „ნორვიჩ სიტი" 4:0, „სანდერლენდი" — „კოვენტრი სიტი" 2:1, „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი" — „სტოკ სიტი" 1:1.

„ლივერპული"	26	63—22	59
„მანჩ. იუნ."	26	36—20	47
„უოტფორდი"	26	47—27	46

მიმომხილველები აღნიშნავენ ორ გარემოებას: ჯერ ერთი, ასეთი ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები ინგლისში კარგა ხანია არ ყოფილა. ზამთარში გუნდებს საშუალება აქვთ ერთნაირი რიტმით ითამაშონ. მეორე ის გახლავთ, რომ ასევე კარგა ხანია ერთ გუნდს ასეთი დიდი უპირატესობა არა ჰქონია სხვებთან შედარებით. „ლივერპული" ბრწყინვალედ თამაშობს და, თუმცა ჩემპიონატის დამთავრებამდე ჯერ კიდევ შორსაა, პირველი ადგილის მოპოვების საუკეთესო შესაძლებლობა აქვს.

გფრ

5–19 თებერვალს ბუნდესლიგაში მცირეოდენი შესვენებაა. 36 წაუგებელი კალენდარული მატჩის შემდეგ „ჰამბურგერ შპორტფერაინის" დამარცხებამ (2:3 ბრემენის „ვერდერთან") რამდენადმე უნდა გამოაცოცხლოს პირველობის მონოტონური მსვლელობა.

ჩემპიონობის პრეტენდენტი ახლა ორია: „ბაიერნი" (29 ქულა 20 თამაშიდან) და „ჰამბურგერ შპორტფერაინი" (28 ქულა 19 თამაშიდან). მიმომხილველები უპირატესობას ჰამბურგელებს ანიჭებენ.

სულ მცირე 8 გუნდს მაინც ემუქრება მეორე ლიგაში გადასვლა. მათ შორის ყველაზე მძიმე მდგომარეობა აქვთ „კარლსრუეს", გელზენკირხენის „შალკე 04-"ს, დას. ბერლინის „ჰერტას" და ლევერკუზენის „ბაიერს" (13–13 ქულა). მაინის ფრანკფურტის „აინტრახტმა", პირიქით, მას შემდეგ, რაც მას ცნობილი ბ. ზებეცი ჩაუდგა სათავეში, მდგომარეობა გამოასწორა — ახლა 15 ქულა აქვს და სატურნირო ცხრილშიც უკეთეს ადგილზეა.

უეფა-ს სამდივნო იუწყება

როგორც უეფა-ს სამდივნო იუწყება, განზრახულია ევროპის სამივე საკლუბო გათამაშება ფეხბურთში (ჩემპიონთა თასი, თასების მფლობელთა თასი, უეფა-ს თასი) 1983–84 და 1985–86 წლებში ჩვეულებრივზე რამდენადმე ადრე დაიწყოს. ზუსტი თარიღები დადგინდება მოგვიანებით.

ეს ხდება იმიტომ, რომ უეფა-მ გაითვალისწინა ევროპის 1984 წლის ჩემპიონატსა და მსოფლიოს 1986 წლის ჩემპიონატში ევროპის ეროვნული ნაკრები გუნდების სიძნელეები, ამიტომ მათ მოსამზადებლად მეტი დრო დაუთმეთ.

კრივი და მაფია

რინგის ისტორიას მრავალი ისეთი შემთხვევა ახსოვს, როცა მაფიის ჩარევა მატჩების მსვლელობაში ტრაგიკულად დამთავრებულა იმ მოკრივეებისათვის, რომელთაც არ დაუკარგავთ სპორტსმენის ღირსება. ერთ-ერთი ასეთი მსხვერპლი გახდა ტყვის ხელთათმანის შესანიშნავი აფრიკელი ოსტატი ლუის ფალი, რომელიც კრივის მატიანეში ბათლინგ (მებრძოლი) სიკის სახელითაა შესული.

ლუის ფალი დაიბადა აფრიკაში (სენეგალში) 1897 წელს. მომავალი მსოფლიოს ჩემპიონის სიყმაწვილემ განვლო მარსელში, სადაც მისი ოჯახი სარჩოს საძიებლად გადავიდა. ლუისს, შეიძლება ითქვას, ბავშვობა არ ჰქონია. პატარა ბიჭს ამ ქალაქში დამკვიდრების დღიდანვე მოუხდა მამასთან ერთად დოკერის მძიმე ჰაპანის ზიდვა. აქ მიიღო მან კრივის პირველი გაკვეთილები ისე, რომ საგანგებო წვრთნა არ გაუვლია. საპორტო ქალაქი სავსე იყო მეზღვაურებით. მათთვის ჩხუბი ერთ-ერთ ძირითად თავშესაქცევს წარმოადგენდა. გამუდმებულმა შრომამ და მუშტი-კრივმა ისე გამოაწრთო ყმაწვილი, რომ მას ერიდებოდნენ და თავაზიანად ექცეოდნენ არამცთუ თანატოლნი, არამედ გაცილებით უფროსნი — უბნისა თუ ქალაქის ყოჩებიც. ლუისი რინგზე პირველად თოთხმეტი წლისა ავიდა. თავი ისახელა სახალხო დღესასწაულებზე გამართულ ორთაბრძოლებში, 1913 წელს კი წარმატებას აღწევს ოფიციალურ შეჯიბრებაში. ამის შემდეგ იწყებს სისტემატურ ვარჯიშს. მისი სახელი თანდათან ცნობილი ხდება კრივის მოყვარულთა და სპეციალისტთა სამყაროში. მომავალი მსოფლიოს ჩემპიონის კარიერა შეწყვიტა ომმა. ლუისმა ხელთათმანები გაიძრო და მათ ნაცვლად შაშხანა მოიმარჯვა. მისმა მედგარმა ხასიათმა ამ განსაცდელის ჟამსაც იჩინა თავი. ლუის ფალს ომში გამოჩენილი სიმამაცისთვის არაერთი ჯილდო აქვს მიღებული. არმიაში სამსახურმა დაავაჟკაცა ჭაბუკი და რინგს ქვემძიმე წონითი კატეგორიის მოკრივედ დაუბრუნა. საჭირო გახდა ბრძოლის მანერის შეცვლა. იმ ხნიდან ლუისი ბრძოლის მოგების მთავარ საშუალებად მიიჩნევს მანოკაუტირებელ დარტყმას. კრივის სპეციალისტებმა ჯეროვნად შეაფასეს რინგის ამომავალი ვარსკვლავის პოტენცია და დანიშნეს მისი მატჩი კარპანტიესთან.

ფრანგული კრივის იმდროინდელი კერპი, მსოფლიოს ჩემპიონი ქვემძიმე წონაში, ჟორჟ კარპანტიე, თავის სამშობლოში ყველა სპორტსმენს ჩრდილავდა პოპულარობით. ეს იყო საკუთარ თავში დაჯერებული, შესანიშნავი აღნაგობის მოკრივე, რომელიც დიდებულად იბრძოდა რინგზე.

მატჩი შედგა 1922 წლის სექტემბერში, პარიზის გარეუბნის ღია სტადიონზე, სადაც 60 ათასზე მეტმა მაყურებელმა მოიყარა თავი სეირის სამზერად. ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ მათი რჩეული ჭკუას ასწავლიდა ამ თავხედ აფრიკელს, რომელმაც გაბედა სახელოვანი ჟორჟ კარპანტიეს გამოწვევა. მსოფლიოს ჩემპიონსაც იგივე ჰქონდა განზრახული. მან მოისურვა ფირზე აღბეჭდილიყო ეს შერკინება, ამიტომაც აპირებდა ერთხანს ებურთავებინა მეტოქე, მერე კი ორთაბრძოლა ეფექტური ნოკაუტით დაემთავრებინა. ამასვე ელოდნენ იქ შეკრებილნი პარიზის კაფეთა მუდმივი მკვიდრნიც. მაგრამ კარპანტიემ, რომლისთვისაც დაღი დაემჩნია ამდენი ხნის სიბარიტობას და ურეჟიმო ცხოვრებას, პირველსავე რაუნდში იგრძნო ღირსეულ მეტოქესთან რომ ჰქონდა საქმე, რომ არ დასცალდებოდა მაყურებელთა საამებელი თამაშის გამართვა, ამიტომ უმალ შეცვალა ჩანაფიქრი, ძლიერი დარტყმები აწვნია ბათლინგ სიკის. წარბიც არ შეუხრია, ისე გაუძლო მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტმა რინგის ნაცადი ოსტატის გრიგალისებურ შეტევას და მალე თავადაც აამოქმედა ყუმბარისებრი ძალით დამუხტული მუშტები. მეექვსე რაუნდში, ერთ-ერთი ასეთი დარტყმის შედეგად კარპანტიე იატაკს განერთხო და მსაჯმა ქვემძიმე წონით კატეგორიაში მსოფლიოს ახალ ჩემპიონად ბათლინგ სიკი გამოაცხადა.

ასეთი სახელოვანი გამარჯვების შედეგად აფრიკელი ათლეტი უმალ იქცა პარიზელთა სათაყვანებელ კერპად. საფრანგეთის დედაქალაქის ბანოვანები ერთმანეთს ეცილებოდნენ, ყველას უნდოდა მსოფლიოს ახალი ჩემპიონი საკუთარი სალონის მშვენებად ექცია. მდიდრულად მორთული ბათლინგ სიკი ხან უახლესი მარკის ლიმუზინით დაჰქროდა პარიზში, ხან ფეხით დასეირნობდა ოქროს ჯაჭვზე გამობმული ლეოპარდის თანხლებით. რინგის ახალ ვარსკვლავს ყოველთვის მოჰყვებოდა თაყვანისმცემელთა დიდი ამალა.

შემდგომ წელს ბათლინგ სიკი შეხვდა მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტ მაიკ მაკტეივს. მატჩი შედგა ირლანდიაში, დუბლინში, წმინდა პატრიკის სახელობის დღეს. ეს ბრძოლა სიკიმ ქულებით წააგო, მაგრამ ამ წარუმატებლობამ ოდნავი ჩრდილიც კი ვერ მიაყენა მის სახელს (მით უმეტეს, რომ მსაჯობა არაობიექტური იყო). მალე ამერიკელმა კრივის მოყვარულებმაც გამოთქვეს სურვილი გასცნობოდნენ რინგის ახალ დიდოსტატს.

ბათლინგ სიკი ამერიკაში გაემგზავრა საუცხოო ბრიტანული ლაინერით „ბერენგარიუსით", რომლის გემბანზეც თავად გამოსცადა, თუ რა იყო რასობრივი დისკრიმინაცია. გემზე მოწყობილ რესტორანსა თუ გასართობ ადგილებში მხოლოდ თეთრკანიანებს უშვებდნენ, არავის ხიბლავდა აფრიკელის ესოდენ დიდი სპორტული ტიტული. მომსახურე პერსონალი ყოველგვარი ცერემონიის გარეშე კარს უხურავდა ზანგს. ამ გარემოებამ შელახა მისი მიძინებული თავმოყვარეობა. სიკიმ ტურნეს დროს პირველსავე რაუნდებში ზედიზედ დაამარცხა ოკეანისგაღმელი მეტოქენი. ახლა ის ამერიკელთა გმირიც გახდა.

სწორედ ამ ქვეყანაში მოხდა მისი საბედისწერო შეხვედრა მაფიასთან. ბათლინგ სიკის ერთ მშვენიერ დღეს ეწვივნენ იმ სინდიკატების მესვეურნი, რომელნიც კონტროლს უწევდნენ პროფესიულ მოკრივეთა მატჩებს და დიდ მოგებას ქაჩავდნენ აქედან. მას შესთავაზეს წაეგო იმ ხანებში დანიშნული ერთ-ერთი ორთაბრძოლა. მაყურებელთა უმეტესობა ნაძლევს ბათლინგ სიკის სასარგებლოდ დადებდა. მათში გარეული მაფიის ხალხი კი პირუკუ მოიქცეოდა და ამ წესით სინდიკატი დიდძალ თანხას მოიგებდა.

ღირსეული სპორტსმენი ვერ აცდუნა გასამრჯელოდ შეთავაზებულმა დოლარების სიმრავლემ და ვერც მუქარამ დაზაფრა. აღშფოთებულმა უარყო ეს დამამცირებელი წინადადება. მსოფლიოს ჩემპიონმა ბრძოლა ჩაატარა მისთვის ჩვეული ბრწყინვალე სტილით და ნოკაუტით დაასრულა. ამის შემდეგ თვეც არ იყო გასული, რომ ნიუ-იორკის ერთ-ერთ ქუჩაზე დღისით-მზისით მოსეირნე ბათლინგ სიკი განგმირა ვერაგულად ნასროლმა ტყვიამ. მკვლელები უგზო-უკვლოდ მიიმალნენ. მაფიის ნამოქმედარის მიკვლევა იოლი საქმე როდი იყო.

ასე უდროოდ ჩაქრა რინგის ბრწყინვალე აფრიკელი დიდოსტატის ბედის ვარსკვლავი.

გავიდა დრო. 1975 წელს აფრიკელებმა პატივი დასდეს თავიანთ სახელოვან თანამემამულეს (პირველ აფრიკელს, რომელმაც მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის წოდება კრივში), ევროპისა და ამერიკის რინგებზე ძლევამოსილ ბათლინგ სიკის და დააარსეს მისი სახელობის კლუბი. ამ დიდებული მოკრივის სახელობის თასი ყოველწლიურად გადაეცემა მისი სამშობლოს კონტინენტის საუკეთესო მოკრივეს.

ე. გიორგაძე.

საქართველოს კრივის ფედერაციის პროპაგანდის კომისიის თავმჯდომარე.

● ჭადრაკი

მშვიდობიანი ტური

იურმალა, 16 თებერვალი (ტელეფონით, „ლელოს" სპეც. კორ.) ახალგაზრდა ოსტატთა სსრ კავშირის პირველობაზე დამთავრდა გადადებული პარტიები და გაიმართა XIII ტურის შეხვედრები.

ორი გადადებული პარტია დაამთავრა აზმაიფარაშვილმა — მან სალოვთან ვერ გამოიყენა უპირატესობა და წააგო, გურევიჩთან კი ყაიმს მიაღწია.

დანარჩენი გადადებული პარტიები ასე დამთავრდა: მაიოროვი—გურევიჩი 0,5:0,5, მაიოროვი — შნეიდერი 0,5:0,5, ჩერნინი — ანდრიანოვი 1:0.

XIII ტურში 8 შეხვედრა ყაიმით დასრულდა, მათ შორის აზმაიფარაშვილი — შნეიდერის პარტია. გადაიდო ზაიჩიკ—ჩერნინის შეხვედრა.

13 ტურის შემდეგ ლიდერობენ ვ. გავრიკოვი (ვილნიუსი) — 8,5 ქულა, ი. ნოვიკოვი (ხარკოვი), ს. სალოვი (ლენინგრადი), ა. ხარიტონოვი (ივანოვო) — 7,5–7,5, გ. ზაიჩიკი (თბილისი) — 7 (1).

ზ. აზმაიფარაშვილს (თბილისი) 5,5 ქულა აქვს.

ლინარესის ტურნირზე

ლინარესის (ესპანეთი) დიდოსტატთა საერთაშორისო ტურნირის სტარტის ერთპიროვნული ლიდერი დ. საქსი (უნგრეთი) III ტურში შეხვდა ა. კარპოვს. ხუთსაათიანი ბრძოლის შემდეგ, 39-ე სვლაზე გაიმარჯვა მსოფლიო ჩემპიონმა.

დაზავდნენ ბ. სპასკი — ჯ. მაილსი (ინგლისი), ე. გელერი — უ. ანდერსონი (შვეცია). ორი პარტია გადაიდო: ი. სეირავანი (აშშ) — ა. იუსუპოვი და ბ. ლარსენი (დანია) — ი. ტიმანი (ჰოლანდია). ამ დღეს ისვენებდა ვ. ჰორტი (ჩეხოსლოვაკია).

3 ტურის შემდეგ ლიდერობენ საქსი და ანდერსონი — 2–2 ქულა. კარპოვს, სპასკისა და მაილსს 1,5–1,5 ქულა აქვთ (მსოფლიო ჩემპიონს ორი შეხვედრიდან). თითო ქულა აქვთ ლარსენს, გელერს, ჰორტსა და სეირავანს.

ლიდერობისთვის ჭიდილი

გორი, 16 თებერვალი (ტელეფონით, „ლელოს" სპეც. კორ.). ქალაქის ბავშვთა სპორტსკოლის შენობაში გრძელდება საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატის მასობრივი შესარჩევი ტურნირი.

შეჯიბრებაში (შვეიცარიული სისტემა, 13 ტური) ლიდერობისთვის მძაფრი ბრძოლა მიმდინარეობს. 4 ტურის შემდეგ 3,5–3,5 ქულა აქვთ რ. დადიანს (სოხუმი), გ. მენაბდეს, კ. შავგულიძეს (ორივე — ქუთაისი), გ. ტყებუჩავას (ცხაკაია), მ. არჩვაძეს (სამტრედია), მ. იოსებაშვილს (გორი), ი. სიფრაშვილს (სიღნაღი), ი. მანაშეროვს (ხაშური), კ. კოზაევს (სამხრეთ ოსეთი) და ბ. ხეცურიანს.

მაყურებლები დიდი ინტერესით ადევნებენ თვალყურს გორელი მოსწავლე გოგონების თამაშს. მაია თათრიშვილმა დაამარცხა ს. ტიშჩენკო (მახარაძე) და ჯ. ვანიშვილი (გორი), ხოლო ეკა ბასილიძემ მოუგო ზ. კაპანაძეს (ქარელი) და დაუზავდა ვ. თარხნიშვილს (გორი).

ო. დოლიძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯის მოადგილე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის წევრები სისტემატურად მონაწილეობენ საქალაქო და რესპუბლიკურ ასპარეზობებში. ავიამოდელისტები გასულ წელს რესპუბლიკის ჩემპიონებიც გახდნენ.

• • •

სურათებზე: ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის წევრები მორიგ მეცადინეობაზე.

ხ. ვართანესოვის ფოტოები.

უნივერსიადაზე „ბურევესტნიკის" დროშით

23 ქალაქის 36 უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენლები იქნებიან საბჭოთა სპორტული დელეგაციის შემადგენლობაში, რომელიც სოფიაში ზამთრის უნივერსიადაზე გაემგზავრება. გუნდის წევრთა საშუალო ასაკი 20,5 წელია. ისინი XV სტუდენტური თამაშების პროგრამის 7 სახეობაში გამოვლენ და მედლების 21 კომპლექტისთვის იბრძოლებენ.

გუნდი დაკომპლექტდა ქვეყნის ჩემპიონატებზე, საერთაშორისო შეჯიბრებებზე და საზოგადოების პირველობებზე ნაჩვენები შედეგების მიხედვით, — განაცხადა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ სერგეი ივანოვმა. — უნივერსიადა–81-ის ჩემპიონებიდან გუნდში დარჩა 5 კმ სათხილამურო რბოლაში გამარჯვებული ლ. ზაბოლოტსკაია (მოსკოვის ოლქი). საუკეთესოთა მორის სურს მოხვდეს გასული უნივერსიადის ბრინჯაოს პრიზიორ 15 კმ–ზე რბოლაში პერმელ მ. დევეტიაროვს.

ფიგურული ციგურაობის ოსტატთა შეჯიბრებაში კვლავ იასპარეზებს წინა უნივერსიადის ვერცხლის პრიზიორი ერთეულთა შორის, ლენინგრადელი ს. ფრანცუზოვა, აგრეთვე სვერდლოვსკელი ნ. ლებედევა. იმედებს ვამყარებთ, აგრეთვე 17 წლის ერევნელ ს. მხითარიანზე.

ბიატლონისტთა (სპორტის ეს სახეობა პირველადაა შეტანილი უნივერსიადის პროგრამაში) გუნდში ძლიერი შემადგენლობაა — ქვეყნის ზამთრის სპარტაკიადის გამარჯვებული ომსკელი ლ. ნოვიკოვი, ვერცხლის პრიზიორი ა. ნეპეინი (მოსკოვის ოლქი), სსრ კავშირის თასის მფლობელი ტ. დოლნი (ტერნოპოლი).

ტრამპლინიდან მხტომელთა და ორჭიდელთა გუნდში არიან მინსკელები ა. პეკტუბაევი და ვ. აპულოვი, წინა უნივერსიადის ჩემპიონი, ლენინგრადელი ვ. ბოიარინცევი.

სამთომოთხილამურეთაგან ყველაზე ცნობილია ს. ჩაადაევი (კამჩატკის პეტროპავლოვსკი), ქალთა შორის კი სპარტაკიადის გამარჯვებული, 17 წლის სვერდლოვსკელი ო. ჩერნოსკუტოვა.

ჰოკეისტთა სტუდენტური ნაკრები შედგება სარატოვის, ყაზანის, ნოვოსიბირსკისა და პერმის უმაღლესი სასწავლებლების სპორტსმენებისაგან.

უნივერსიადა საზეიმოდ გაიხსნება 17 თებერვალს, სოფიის კულტურის სასახლეში, ხოლო შეჯიბრებები დაიწყება მეორე დღეს და დამთავრდება 27 თებერვალს.

„ნორჩი დინამოელის" გამარჯვება

სოჭში ერთ კვირას მიმდინარეობდა 1969–1970 წლებში დაბადებულ ნორჩ კალათბურთელთა ტრადიციული საკავშირო ტურნირი. წარმატებით იასპარეზეს თბილისის ნორჩმა დინამოელებმა (მწვრთნელები ა. კილაძე და ჯ. ხუხაშვილი), რომლებმაც ექვსივე შეხვედრა მოიგეს და გამარჯვება შეჯიბრების დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე გაინაღდეს. ტურნირი განსაკუთრებით საინტერესო იყო იმით, რომ მონაწილეთა უმრავლესობა ერთმანეთისაგან საგრძნობლად განსხვავდებოდა სათამაშო სტილითა და მანერით. მათ შორის იყვნენ ტაქტიკურად ბრწყინვალედ მოაზროვნე ვილნიუსის „ჟალგირისი", ტექნიკურად ძლიერი ლენინგრადის „სპარტაკი", ფიზიკური ძალით გამორჩეული ვოლჟსკის სპეციალიზებული სკოლის გუნდი და სოჭის კოლექტივი, რომელიც ტრადიციულად, როგორც მასპინძელს სჩვევია, ძნელად გადასალახავი „ბარიერი", იყო სტუმრებისათვის.

ტურნირზე იყვნენ აგრეთვე ნორჩები ვოლგოგრადიდან და ყაზანიდან, რომელთა მიზანი სხვებთან შედარებით მოკრძალებული იყო — გამოცდილების მიღება. თუმცა მათ ბევრ შეხვედრაში მონდომებული თამაშის წყალობით დიდხანს ანერვიულეს ეგრეთწოდებული ფავორიტები.

აღსანიშნავია ისიც, რომ თბილისელთა გარდა ყველა გუნდში იყო ტანმაღალი კალათბურთელი, რომლის სიმაღლე 190 სანტიმეტრს აღემატებოდა. ნორჩ დინამოელთათვის, რა თქმა უნდა, ყველა მატჩი საინტერესო იყო, მაგრამ მათ განსაკუთრებით დაამახსოვრდათ ბოლოსწინა შეხვედრა ვილნიუსის გუნდთან, გუნდთან, რომელმაც თავად დინამოელთა დიდი სიმპათია დაიმსახურა. თბილისელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ სწორედ ამ მატჩში ითამაშეს საუკეთესოდ დაცვაშიც, თავდასხმაშიც და ფაქტიურად შეხვედრის ბედიც პირველ ტაიმში გადაწყვიტეს, როდესაც 20-ქულიან უპირატესობას მიაღწიეს.

მართალია, გამარჯვებაში ყველა ნორჩ დინამოელს მიუძღვის წვლილი, მაგრამ განსაკუთრებული ქების ღირსნი არიან ლევან გეგეშიძე, მიშიკო ხუხაშვილი, ლევან ინწკირველი და გიორგი წურწუმია, რომლებმაც ბრძოლების მთელი სიმძიმე იტვირთეს.

დამთავრდა სოჭის ტრადიციული ტურნირი, რომელიც ნორჩმა თბილისელებმა გამოიყენეს არა მარტო საასპარეზოდ, არამედ შავი ზღვისპირეთის ამ ლამაზი საკურორტო ქალაქის ისტორიულ ღირსშესანიშნაობათა დასათვალიერებლადაც.

ლ. პატიაშვილი.

* * *

სურათზე: სოჭის ტრადიციულ ტურნირში გამარჯვებული თბილისის „ნორჩი დინამოელი".

● თავისუფალი ჭიდაობა

გამარჯვება ტარიელაძეს

საფრანგეთის ქალაქ კლერმონ-ფერანში დამთავრდა თავისუფალ მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირი — მოყვარულ მოჭიდავეთა საერთაშორისო ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტის რ. კულონის მემორიალი. გუნდური გამარჯვება მოიპოვეს საბჭოთა სპორტსმენებმა. მომდევნო ადგილებზე არიან პოლონეთის, გდრ–ისა და გფრ–ის მოჭიდავეები. პირად ტურნირში პირველობა მოიპოვეს ხარკოველმა ტ. მამედოვმა (52 კგ), კრასნოიარსკელმა ვ. მოდოსიანმა (82), ლენინგრადელმა პ. ნანიევმა (90), ტაშკენტელმა ა. ხოდარცევმა (100) და თბილისელმა ჯ. ტარიელაძემ (100 კგ–ს ზევით). მეორე ადგილი წილად ხვდა კრასნოიარსკელ ს. კარამჩაკოვს (48), მესამე — ერევნელ გ. ბაღდასარიანს (62).

● კალათბურთი

ბუშინწინ უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის კიდევ ერთი მატჩი გაიმართა.

რიგაში ადგილობრივმა ვეფ-მა უმასპინძლა მინსკის რტი–ს. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 93:83 (45:35).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 15 თებერვლისთვის

	მ.	წ.	ბ	ქ.
„ჟალგირ."	20	5	2583—2199	45
ცსკა	18	7	2421—2066	43
„სტრ." კ.	14	11	2073—2036	39
„დინ." მ.	14	10	2211—2155	38
რტი მნ.	11	14	2148—2126	36
„სპ." ლდ.	12	11	1951—1905	35
ვეფ რიგა	6	19	2038—2317	31
„დინ." თბ.	4	21	1907—2467	29

უძლიერესები

პროფესიონალ ჩოგბურთელთა მსოფლიო საბჭომ გამოაქვეყნა უძლიერეს ჩოგბურთელ ქალთა სია: 1. ნავრატილოვა, 2. ევერტ-ლოიდი, 3. ეგერი (სამივე — აშშ), 4. მანდლიკოვა (ჩეხოსლოვაკია), 5. ოსტინი (აშშ), 6. რუჟიჩი (რუმინეთი), 7. ბუნგე (გფრ), 8. გირაივერი, 9. პეტერი (ორივე — აშშ), 10–11. პარისონი (აშშ) და ტარბური (ავსტრია).

რედაქტორი ა. ბასილაია.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ, ᲒᲐᲠᲓᲐ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘᲡᲐ. ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 99-56-47, 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის —93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები —93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲞ ᲪᲙ-ᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲝᲡᲐᲜᲘ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ, 380096, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ-96, ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ Ქ. 14. ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲝᲤᲡᲔᲢᲣᲠᲘ ᲬᲔᲡᲘᲗ
ᲡᲐᲒᲐᲖᲔᲗᲝ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲨᲘ, ᲮᲝᲨᲢᲐᲠᲘᲐᲡ, 29. ИНДЕКС 66435 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 უე 06235